


ახალი თავისუფალი ქართული სპორტის გაზიანაუმი



ლელო


საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 მარტი, კვირა, 1990 წ.
№52 (10 221) ფასი 8 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ამ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი რამდენიმე კადრი დღეს უკვე ისტორიაა, ისტორია იმ მღვლეარე დღეებისა, როცა შორეულ პერეში საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია მსოფლიო ფედერაციის წევრად მიიღეს, კონგრესი და მსოფლიოს V ჩემპიონატი ტრადიციულ კარატეში, რომელზედაც პირველად მიიწვიეს საქართველოს გუნდი, როგორც ვიუწყებოდით, ღიშაში სულ ახლახანს გაიმართა.



დაგანგოთ პროფესორი ჩემპიონატის პრობლემა



დღეს, როცა საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატის საქითხი დადებითად გადაწყდა, ქართული საზოგადოებრიობის ძალისხმევა ამ ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისკენა მიმართულია.

მომავლისკენა, ასეთი რანგის საფეხბურთო ტურნირებში ჩემპიონის წოდების გარდა, გუნდები და ფეხბურთელები (და ზოგჯერ გულშემატკივრებიც) სპეციალური პრიზებისთვის იბრძვიან. როგორცია: „საუკეთესო ბომბარდირის“, „უკეთესო კორექტული გუნდის“, „საუკეთესო მეკარის“ და ა. შ. პრიზები. ვფიქრობ, გამონაკლისი არც ჩვენი დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი უნდა გახდეს. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ასეთი პრიზები თავისებურ პეესა და სილამაზეს მატებენ ტურნირს, რადგან მათში სპორტული ბრძოლის ცალკეულ მახასიათებელთა სტატისტიკური და ხიბლისმიერი კრიტიკულებია განსხვავებული.

გამოვთქვამ იმედს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები და პირველ რიგში ურნალ-გაზეთების რედაქციები, გაითვალისწინებენ ამ წინადადებას და სპეციალური პრიზების დაწესებით კიდევ უფრო საინტერესოს, მრავალმხრივსა და ლაზათიანს გახდიან საქართველოს მობურთალთა მომავალ ბატალიებს.

ალიკო ცინცაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

„ლელოს“ პრიზი — პროფესორი ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელს


„ლელოს“ რედაქცია იზარებს ალიკო ცინცაძის წინადადებას და თავის მხრივ აწესებს პრიზს წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის.

ფეხბურთში მონაწილეობის საკარტო...
ლეს მრკონულ ჩემპიონატობა დაპროფესორი მონაწილეობის საკარტო...
იღვეთ მმ.2 გმმრღვმ.

მეორე ნახტომის ფასი

პრახსნიობრსკი. თბილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მესამე ეტაპი ქვეყნის ორი უძველესი „მდინარე მთისილამურის“ თბილისელი კახა წაქაძისა და მისკოველი ედუარდ სუბოჩის მძაფრი მეტოქეობით აღინიშნა. 70-მეტრიან ტრამპლინიზე წაქაძემ ყველაზე გრძელი ნახტომი შეასრულა (86 მეტრი) იმ დროს, როდესაც სუბოჩის შედეგი 81,5 მეტრს არ აღემატებოდა. მაგრამ მეორე ნახტომში ქართველ მოთხილამურეს არ გამოუვიდა (70,5 მეტრი), სუბოჩმა კი პირველ შედეგს კიდევ ერთი მეტრი წაუმატა, ჯამში 200,8 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა.

განაწყენებულმა კახაძერმა რეინის ალგა 90-მეტრიან ტრამპლინიზე სცადა და ბრწყინვალედაც იასპარეზა. მისი პირველი ნახტომი 103,0 მეტრი იყო, მეორე კი სარეკორდოდ გრძელი და ლამაზი — 107,0 მეტრი. საბოლოო ჯამში წაქაძემ 207,5 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი ამ ტრამპლინიზე ლენინგრადელ ვ. გოლუბეცს ხვდა წილად — 204,5 ქულა, მესამე — ლვოვილი ვ. გრობოვისს — 197,5 ქულა.



მს ფოტოსურათი ფეხბურთის ბოლოს სახარტაკიადო ტისოვეცშია (ღვოვის ოლქი) გადაღებული. კახა წაქაძემ ეს-ესა მიიღო VII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი. ამ გამარჯვებამ, მასთან ერთად ცხადია, კახას მამა სპორტის დამხახურებელი ოსტატი კობა წაქაძე გაახარა.

ვასილი სიროტიძის (ხკოლე) ფოტო.

მეხჯელოთ და გადაგვებოთ

სომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი შეგვეცვალა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სახელწოდება და ზოგადი იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს ფიზიკულტურულ განათლებას საქართველოში. მიმანია, რომ გამართლებულია ეწოდოს მას საქართველოს სპორტული ან სპორტის უნივერსიტეტი. სპორტ თვითონ არის კულტურა, ზოგადი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, და ფიზიკური კულტურის გარდა მოიცავს სულიერ კულტურას, ზნეობას, სოციალურ-ეკონომიკურ მიზანდასახულობას. საუნივერსიტეტო სპორტული განათლება მომავალში პროფესიული დონის ამალეების საწინდარი შეიძლება გახდეს ამ დარგის ყველა იერარტიული დონეზე სტუდენტებიდან დაწყებული სპორტის განვითარების სახელმწიფოებრივი მართვის ჩათვლით.

კ. კოლხი,
თბილისი, 14. 01. 90 წ.

თანადგოვა გულამ და ყოველთხის

პატივეცემული რედაქცია, ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეგვაწუხა და დაგვაფიქრა ორი ახალგაზრდა მოქიდავეების გიორგი რთველიაშვილის და ამირან ახუაშვილის ბედმა, რომლებიც სპორტულმა ტრავმამ ლოჯინს მიაჯაფვა. მადლობა თქვენ, აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაციას და პიროვნებას, ვინც გულამ ახლოს მიიტანა ამ ბიჭების ხტკივარი. თუ შეიძლება დროდრო გვამბებთ ვინ რა პრაქტიკულ დახმარებას უწევს მათ.

ვ. ევანოქი,
ხაშური.

„ლელოს“ გულამდელ ნომერში ჩვენ გამოვამყვებთ ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სპორტსახკომმა თბილისში ბინა გამოუყო გ. რთველიაშვილს, ხოლო კილიობის გაერთიანებამ სრულ გამოჯანმრთელებამდე ყოველთვიურად 100-100 მანეთი დაუნიშნა ორივე სპორტსმენს.

გულამდ რთველიაშვილი ბინაზე მოინახულა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნულზაქენდელაძემ და რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა სახალხო ფრონტიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა გიორგი ნიქარაძემ.

დღეს გიორგი რთველიაშვილი 23 წლის გახდა. მალე გამოჯანმრთელებას და ბედნიერებას ვუსურვებთ!

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალატუბურთში I ლიბა

გუზინ...

ლენინის სახელობის დარბაზში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კალატუბურთელ ქალთა გუნდი სსრ კავშირის პირველობის (I ლიბა) მორიგ მატჩში მასინდლობდა ტარტუს უსკს.

ანგარიშით 71:69 (87:84) გაიმარჯვეს საქართველოს კალატუბურთელბმა.

5:5 და პირველი პაბილი

რაიკიპიპიპი საერთაშორისო მატჩტურნირის ბოლო, მეექვსე ტურში ფრედ (5:5) დაასრულეს შეხვედრა საბჭოთა მოჭადრაკეებმა აშშ-ის გუნდთან და 31,5 ქულით I ადგილი გაინადღეს. არტურ რუსუბოვმა დაამარცხა ბორის გულკო, სერგი დოლმატოვმა — უოლტერ ბრაუნი, ხოლო ვლადიმერ ტუქმაკოვმა — დიმიტრი გურევიჩი. სამი გამარჯვება მოიპოვეს ამერიკელებმაც: ლარი კრისტინსენი — ვინესლავე ეინგორნი 1:0, ჯოელ ბენჯამინი —

ზურაბ აზმაიფარაშვილი 1:0, ალექსანდრე ივანოვი — სერგეი მაკარიჩივი 1:0. ვასილი ივანჩუქ — ისაერ სეირაგინის, რაფელ ვაპანიან—ჯონ ფედოროვიჩის, ანდრეი სოკოლოვ—ნიკ დე ფინიანისა და ლევ პოლუგაევსკი—რომან ჩრჩიხაშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

II ადგილზე გავიდნენ დიდი ბრიტანეთის, III-ზე — აშშ-ის, ხოლო IV-ზე — ჩრდილოეთის ქვეყნების ნაკრები გუნდის წარმომადგენლები.

ინფორმაცია

**პარლ ლუისის
ავტობიობარაზია**

ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარლ ლუისმა დაასრულა მუშაობა ავტობიობარაზიაზე, რომელიც ივლისში გამოვა. ამის შემდეგ ლუისმა განახლა ინტენსიური მზადება ახალი შეჯიბრებებისთვის. ზაფხულის განმავლობაში იგი აშშ-ში 9 შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას, ევროპას კი ელასკო მეორე ნახევარში ეწვევა.

